თათია მაისურაძე,

გრანადის უნივერსიტეტი, ესპანეთი

15-19 აპრილს, Erasmus + ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის პროგრამის ფარგლებში, ვესტუმრე გრანადის უნივერსიტეტს, ესპანეთი (University of Granada).

ვიზიტის მიზანს, საერთაშორისო კვირეულის (International Staff Week) პროგრამაში მონაწილეობა წარმოადგენდა, რომელიც 30 ქვეყნის სხვადასხვა უნივერსიტეტის 60 ადმინისტრაციულ და აკადემიური პერსონალს აერთიანებდა.

კვირეულის მიზანი იყო საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილების გაზიარება მონაწილე უნივერსიტეტებს შორის, როგორიცაა: Erasmus +-ის საერთაშორისო სტუდენტური და ადმინისტრაციული მობილობები, საერთაშორისო კვლევის ხელშეწყობა და ა.შ.

მობილობის ფარგლებში ასევე დაიგეგმა ვიზიტი და შეხვედრა გრანადის უნივერსიტეტის ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, განვიხილეთ შესაძლო თანამშრომლობის სფეროები.

საერთაშორისო კვირეული, თავისი მასშტაბით და თემატიკით იყო საუკეთესო შესაძლებლობა ახალი ცოდნისა და გამოცდილების მიღებისა და გაზიარებისათვის.